ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადებულია პროექტის - *სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის* - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.
კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

Visegrad Fund

ოქტომბერი
2019

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 2
შესავალი 3
თანამშრომლების ანაზღაურება 3
მივლინებები 10
სარეკლამო ხარჯი 12
საწვავი და ავტომობილები 14
წარმომადგენლობითი ხარჯები 16
დასკვნა 17

ძირითადი მიგნებები

- **თბილისის მერიაში 2018 წელს შტატიანი თანამშრომლების ანაზღაურება 2017 წელთან შედარებით 4 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება 3,4 მლნ ლარით გაიზარდა.**

- **2018 წელს მერიის თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო გაიზარდა და ფაქტობრივად მოიცვა დანამატის ის ოდენობა, რომელსაც 2017 წელს ყოველთვიურად იღებდნენ, რის ხარჯზეც საერთო ანაზღაურების ჯამური თანხის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა.**

- **საკრებულოს შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება 2018 წელს 461 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო საშტატო თანამშრომელთა ანაზღაურება 171 ათასი ლარით შემცირდა.**

- **მერიის მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მუხლით დახარჯული თანხა 2018 წელს 1 მლნ 790 ათასი ლარით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა სავარაუდოდ უკავშირდება საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს შექმნასა და მის ადმინისტრაციულ ხარჯებს.**

- **თბილისის მერიის მიერ 2018 წელს დახარჯული სატელევიზიო სარეკლამო თანხების 69% ტელეკომპანია “იმედშია” კონცენტრირებული.**

- **მერიის წარმომადგენლობითი ხარჯები 2018 წელს წინა წელთან შედარებით 32%-ით არის გაზრდილი.**

შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, მისი სტატუსის და დაფინანსების მოცულობით გამორჩეულია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის. ქალაქის ბიუჯეტი მილიარდ ლარს აჭარბებს, შესაბამისად, როგორც აღმასრულებელი ისე წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური განკარგვა მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) წლებია აკვირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და ბიუროკრატიული ხარჯების პოლიტიკას. მაგალითად, 2017 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა - თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა და ადმინისტრაციული ხარჯები 2011 - 2016, სადაც მიმოხილული იყო 6 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მმართველობის პირობებში მერიასა და საკრებულოში საშტატო და შტატგარეშე თანამშრომელთა დასაქმების დინამიკა. ასევე შესწავლილ იქნა, მუნიციპალიტეტში არსებული შრომის ანაზღაურების პოლიტიკა, ავტოპარკის განკარგვისა და წარმომადგენლობითი ხარჯების პრაქტიკა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-მ შეისწავლა 2017 და 2018 წლების მონაცემები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა ასევე, ფარავს ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს თანამშრომელთა მივლინებების, საწვავის მოხმარების და სარეკლამო ხარჯებს. კვლევა ეფუძნება ქალაქ თბილისის მერიიდან და საკრებულოდან გამოთხოვილ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში არასრული ინფორმაციის მიღების გამო, გარკვეული მონაცემების დამუშავება და შედარება ვერ მოხერხდა.

თანამშრომლების ანაზღაურება

ქალაქ თბილისის მერია

თბილისის მერიის მიერ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაში დახარჯულმა ჯამურმა თანხამ 2017 წელს **23 მილიონ 400 ათას** ლარზე მეტი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - დაახლოებით **23 მლნ 900 ლარი.** თუმცა, აღსანიშნავია, რომ შტატიანი თანამშრომლების ანაზღაურება 2018 წელს 4 მილიონი ლარით არის შემცირებული, ხოლო შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება, 3,4 მილიონი ლარით გაზრდილი.



მერიამ თანამდებობის პირების ანაზღაურებაში 2017 წელს **1,243,392.08** მლნ ლარი დახარჯა, ხოლო 2018 წელს - **1,245,380.00** მლნ ლარი. **2018 წელს მერიის თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო გაიზარდა და ფაქტობრივად მოიცვა დანამატის ის ოდენობა, რომელსაც ისინი 2017 წელს ყოველთვიურად იღებდნენ, რის ხარჯზეც საერთო ანაზღაურების ჯამური თანხის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა.** ფულადი ჯილდოების (პრემია) შემთხვევაში კი, თუ 2017 წელს პრემიები ფაქტობრივად არ გაიცემოდა და მათმა საერთო ოდენობამ თანამდებობის პირების შემთხვევაში 7,900 ლარი შეადგინა, 2018 წელს ამ თანხამ 70,000-ს მიაღწია. ჯამური მონაცემებით, 2018 წელს ამ მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა წინა წლისას უმნიშვნელოდ გაუსწრო.





აღსანიშნავია, რომ 2017 და 2018 წლებში ანაზღაურების განსხვავებული სისტემა გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილებებით. კერძოდ, 2018 წელს ამოქმედდა ცვლილებები საჯარო სამსახურში დასაქმებულთა ანაზღაურების წესთან დაკავშირებით. შეიცვალა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის პროცედურა: დაწესდა საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და თითოეულ თანამდებობას მიენიჭა შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტი, რომელთა ნამრავლითაც ანგარიშდება თანამდებობრივი სარგო.
ასევე, კანონით დადგინდა საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით (საშტატო) და შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშე) დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის ზღვარი და ყველა საჯარო დაწესებულებას აეკრძალა თანამშრომელთა ანაზღაურების ფონდის გაზრდა 2018-2020 წლებში.

დანართი №4

ცხრილი №4.1

პოლიტიკური თანამდებობის პირები	**თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	7.5
სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	6.5
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	6.00
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილე	5.50
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე	5.00
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე	5.00

ცხრილში მოცემული პოლიტიკური თანამდებობის პირების ფაქტობრივი თანამდებობრივი სარგოები 2018 წელს შემდეგნაირად გამოიყურება:

თანამდებობის პირი	**სარგო**
თბილისის მუნიციპალიტეტის მერი	3,180
თბილისის მერის პირველი მოადგილე	6,300
თბილისის მერის მოადგილე	6,150

თუმცა, როგორც მერიის მიერ მოწოდებულ ოფიციალურ დოკუმენტშია მითითებული, თბილისის მერი, კახა კალაძე მითითებულ სარგოს, 3,180 ლარს არ იღებს და ეს თანხა ყოველთვიურად ნაწილდება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე.

6	*ტრანსპორტის სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	მამუკა მუმლაძე	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
7	*შიდა აუდიტის სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	ბადრი გიორგიძე	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
8	*ინფრასტრუქტურის სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	გალაქტიონ ბუაძე	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
		გივი კუბლაშვილი	5000,00		500,00											
9	*გარემოს დაცვის სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	გიგა გიგაშვილი	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
10	*იურიდიული სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	სერგო ბირკაძე	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
11	*უსაფრთხოების სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	ნიკოლოზ ჭონქაძე	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
12	*ჯანდაცვის და სოც. მომსახ. სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	გელა ჩივიაშვილი	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	
13	*ურბანული სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	ალექსანდრე ტოგონიძე														
14	*კულტურის, განათლების და სპორტის სამსახური*															
	სამსახურის უფროსი	ირაკლი გვილავა	5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00		5000,00	

შენიშვნა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის - კახი კალაძის თანამდებობრივი სარგო 3180 (სამიათას ასოთხმოცი ლარი) ყოველთვიურად ნაწილდება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე

თბილისის მერიაში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 2017 წელს 1271 იყო, 2018 წელს კი მათი რიცხვი 25-ით გაიზარდა და 1,296 შეადგინა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მატება შტატგარეშე თანამშრომელთა ხარჯზე მოხდა. კერძოდ, შტატგარეშეთა რაოდენობა 32-ით გაიზარდა, ხოლო საშტატო თანამშრომელთა რაოდენობა 7-ით შემცირდა.

თბილისის მერიის თანამშრომელთა რაოდენობა 2017-2018 წლებში



რაც შეეხება ანაზღაურების გადანაწილებას თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით, საშტატო თანამშრომლების შემთხვევაში, მათი რაოდენობის კლებასთან ერთად, ანაზღაურებამაც ყველა კომპონენტში დაიკლო.

წლები	**საშტატო**			
	თანამდებობრივი სარგო	**პრემია**	**დანამატი**	**თანამშრომელთა რაოდენობა**
2017	14,695,597.77	1,654,827.90	2,698,343.12	688
2018	13,103,559.57	1,024,520.00	987,216.50	681

აღსანიშნავია, რომ შტატგარეშე თანამშრომლების შემთხვევაში ხელფასების ზრდა ძირითადად ფიქსირდება თანამდებობრივი სარგოს კომპონენტში, გაცემული პრემიების რაოდენობა ორივე წელს ფაქტობრივად იდენტურია, დანამატი 2017 წელს საერთოდ არ გაცემულა, 2018 წელს კი ამ კომპონენტში 735 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

წლები	**შტატგარეშე**			
	თანამდებობრივი სარგო	**პრემია**	**დანამატი**	**თანამშრომელთა რაოდენობა**
2017	4,416,652.24	447,765.50	0.00	583
2018	7,093,084.27	471,164.00	735,459.85	615

ასევე, საინტერესოა, რომ 2018 წელს ქალაქ თბილისის მერიიდან გათავისუფლდა 429 თანამშრომელი, საიდანაც 278 პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს 2017 წლის ბოლოს ახალი მერის არჩევას.

შედარებისთვის, 2017 წელს გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა 179 იყო, აქედან 116 პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა.

თბილისის საკრებულო

რაც შეეხება ქალაქ თბილისის საკრებულოს, თანამშრომელთა ანაზღაურებაზე 2017 წელს **8,002,160.77** ლარი დაიხარჯა, ხოლო 2018 წელს - **8,292,161.22** ლარი. 2018 წელს საკრებულოში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო გაიზარდა და მოიცვა დანამატის ის ოდენობა, რომელსაც 2017 წელს ყოველთვიურად იღებდნენ საკრებულოს თანამშრომლები. ფულადი ჯილდოების (პრემია) შემთხვევაში კი, 2018 წელს გასულ 2017 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ ნაკლები რაოდენობის პრემია გაიცა.





ქალაქ თბილისის საკრებულოში 2018 წელს ჯამში 460 ადამიანი იყო დასაქმებული. აქედან 267 შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშე), ხოლო 193 - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით (საშტატო). 193 შტატგარეშე თანამშრომლიდან 95 საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებში დასაქმებულებზე მოდის, რომელთა რაოდენობა არ არის ასახული 2017 წლის მონაცემებში, რადგან საკრებულომ ინფორმაცია 31 დეკემბრის მონაცემებით მოგვაწოდა, სადაც მითითებულია, რომ ამ თარიღისათვის შესაბამის პოზიციაზე დასაქმებულ თანამშრომლებს უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდათ, რაც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, წინა წლების მონაცემების გათვალისწინებით, მაჟორიტართა ოფისების წარმომადგენლების რაოდენობა 90-100 თანამშრომლის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა დასაქმებულთა რაოდენობას, 2017 წელთან შედარებით 2018 წელს ყველა კატეგორიაში ზრდა დაფიქსირდა. საშტატო თანამშრომლების რაოდენობა 1-ით გაიზარდა, შტატგარეშე თანამშრომლების შემთხვევაში, აპარატში დასაქმებულთა რაოდენობა – 17-ით, მძღოლების რაოდენობა - 4-ით, ფრაქციებში დასაქმებულთა რაოდენობა - 6-ით.

აღსანიშნავია, რომ შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება 2018 წელს 461 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო საშტატოთა ანაზღაურება 171 ათასი ლარით შემცირდა.

მივლინებები

თბილისის მერიის მიერ 2017 და 2018 წლებში მივლინებებში დახარჯული თანხა ფაქტობრივად თანაბარია.



2018 წელს მივლინებებში დახარჯული თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ხარჯის ტიპი	ჯამური თანხა
მგზავრობის ხარჯი	**46,069.99**
სასტუმროს ხარჯი	**30,291.79**
დღიური ნორმა	**20,197.8**
წარმომადგენლობითი ხარჯი	**6,424.11**

სასტუმროების ყველაზე მაღალი ხარჯი:

სოფიო ხუნწარია	გერმანია - ფრანკფურტი	6	4,362
ირაკლი გვილავა	ვიტორია - ესპანეთი	7	2,823
კახა კალაძე	გერმანია - ფრანკფურტი	3	2,668
კახა კალაძე	ლუქსემბურგი - ლუქსემბურგი	1	2,282

რაც შეეხება სხვა თანამშრომლების მივლინებებს, ჯამში 2017 წელს დახარჯულია 281 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს 285 ათასი ლარი. სამწუხაროდ, მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული კონკრეტული ვიზიტები, რის გამოც შეუძლებელია იდენტიფიცირება ძირითადად რომელი დეპარტამენტის და რა რანგის თანამშრომლები იმყოფებოდნენ წლის განმავლობაში მივლინებებში.

თბილისის საკრებულოს შემთხვევაშიც, 2017 და 2018 წლებში მივლინებებში დახარჯული თანხა ფაქტობრივად თანაბარია. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს დახარჯული 108 ათასი ლარი განაწილდა 37 მივლინებაზე, ხოლო 2018 წელს დახარჯული 118 ათასი ლარი - 24 მივლინებაზე,

რაც ნიშნავს რომ 2017 წელს საშუალო სამივლინებო თანხა დაახლოებით 3,000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს - 5,000 ლარს.



2018 წლის 3 ყველაზე მაღალდანახარჯიანი მივლინება:

სახელი/გვარი	მივლინების თარიღი	მივლინების ადგილი	დახარჯული თანხა	ღონისძიება
ქეთევან მამულაშვილი	07/07/2018-19/07/2018	ჩინეთი-გუანჯოუ	8,204.03	ქალაქ შაოგუანის სახალხო მთავრობის მოადგილესთან, პეკინის მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზრის განვითარების სავაჭრო პალატასა და გუანჯოუს მუნიციპალიტეტში სამუშაო ვიზიტი.
გიორგი ახვლედიანი	07/07/2018-19/07/2018	ჩინეთი-გუანჯოუ	7,321.32	ქალაქ შაოგუანის სახალხო მთავრობის მოადგილესთან, პეკინის მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზრის განვითარების სავაჭრო პალატასა და გუანჯოუს მუნიციპალიტეტში სამუშაო ვიზიტი.
ლევან დარახველიძე	07/07/2018-19/07/2018	ჩინეთი-გუანჯოუ	6,652.03	ქალაქ შაოგუანის სახალხო მთავრობის მოადგილესთან, პეკინის მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზრის განვითარების სავაჭრო პალატასა და გუანჯოუს მუნიციპალიტეტში სამუშაო ვიზიტი.

სარეკლამო ხარჯი

თბილისის მერიის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მუხლით 2018 წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯა **2 მლნ 717 ათას ლარი,** რაც 2017 წელს იმავე მუხლით დახარჯულ თანხებზე **1 მლნ 790 ათას** ლარით მეტია.



მსგავსი ხარჯების ზრდა განაპირობა საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს შექმნამ, კერძოდ 2018 წლის ხარჯიდან **2 მილიონ 352 ათასი** - სააგენტოს ხარჯია, ხოლო **364 ათასი ლარი** უშუალოდ მერიის ადმინისტრაციიდან დაიხარჯა. სააგენტოს მიერ დახარჯული თანხები რეკლამასთან ერთად მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯსაც, მაგალითად, 2018 წელს სააგენტოს თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისათვის 512 ათას ლარზე გაიხარჯა, ხოლო საქონელი და მომსახურებისთვის 1,6 მილიონ ლარზე მეტი.

405255165	ა(ა)იპ - საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო			
	შემოსულობები	2 352 666,59	2 352 666,59	0,00
	შემოსავლები	2 352 666,59	2 352 666,59	
	გადასახდელები	2 352 666,59	2 352 666,59	
	ხარჯები	2 192 789,59	2 192 789,59	
	შრომის ანაზღაურება	512 716,99	512 716,99	
	საქონელი და მომსახურება	1 678 651,73	1 678 651,73	
	სოციალური უზრუნველყოფა	1 420,87	1 420,87	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	159 877,00	159 877,00	
	ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის	0,00	0,00	0,00
	ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	0,00	0,00	0,00

ა(ა)იპ "საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო" 2018 წლის თებერვალში შეიქმნა[1], სააგენტომ გააერთიანა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და დანაყოფების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.

[1] ამჟამად სააგენტოს სახელწოდებაა ა(ა)იპ "საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"



მუხლი 2.

სააგენტოს მიზანი, ძირითადი მიმართულებები, ფუნქციები და საქმიანობის ფორმები

1. სააგენტოს მიზანია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია), მისი სტურქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (შემდგომში - მერიის სტრუქტურული დანაყოფები) საკომუნიკაციო სისტემის შექმნა; საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება; სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება; თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება.

მერიიდან ოფიციალურად მიღებული ინფორმაციის თანახმად, კომუნიკაციების სააგენტოს მიერ 2018 წელს დახარჯული 2 მილიონ 352 ათასი ლარიდან უშუალოდ სარეკლამო ხარჯებს **675,656 ათასი ლარი** მოხმარდა.

აქედან 137 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა სოციალურ ქსელ Facebook-ზე განთავსებულ რეკლამაში. 526 ათას ლარზე მეტი - საინფორმაციო ვიდეორგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსებისათვის, ხოლო 12 ათას ლარამდე - საინფორმაციო რგოლების რადიოში განთავსებისათვის.

თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სარეკლამო რგოლების მხოლოდ სატელევიზიო ეთერში განთავსებისათვის სააგენტომ 2018 წელს ჯამში 519 ათასი ლარი გადაიხადა და ტელევიზიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულმა სააგენტომ გააერთიანა თბილისის მერიისა და მისი დაქვემდებარებული უწყებების პრესსამსახურები, რასაც შესაძლოა გამოეწვია სარეკლამო თანხების ორჯერ ზრდა. 2018 წლის თბილისის მერიის ბიუჯეტის შესრულების დოკუმენტის მიხედვით, სააგენტოს მიერ წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა 2,352,666 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხარჯებს, 2018 წელს რეკლამაში 233,073 ლარი დაიხარჯა, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

- **127,926 ლარი** - რეკლამის დამზადება;
- **86,857 ლარი** - პირდაპირ ეთერში სატელემაუწყებლო მომსახურება, საიდანაც ნახევარი, 43 ათას ლარზე მეტი ტელეკომპანია "იმედში" კონცენტრირდა, 40 ათას ლარზე მეტი კი - ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ში.
- **17,829 ლარი** - სოციალურ ქსელში სარეკლამო მომსახურებით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადი, სოციალურ ქსელში სარეკლამო მომსახურებაზე უკუდაბეგვრით დღგ-ს გადასახადი და ინტერნეტით რეკლამის განთავსება;

სამწუხაროდ, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017-2018 წლებში გაწეულ სარეკლამო ხარჯებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოუწოდებია, შესაბამისად, ვერ მოვახერხეთ შესაბამისი მონაცემების დამუშავება და დასკვნების გაკეთება.

საწვავი და ავტომობილები

თბილისის მერიის საწვავის ხარჯი, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს 278 ათასი ლარით გაიზარდა.



ქალაქ თბილისის მერია 2018 წლის მონაცემებით 370 ერთეულ ავტომობილს ფლობდა, საიდანაც 105 მოდელი 2018 წელსაა გამოშვებული და მათი უმეტესობა (53) ჰიუნდაის მარკისაა.

2018 წელს გამოშვებული მანქანების შეძენა მერიას ჯამში 5.6 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა, რაც სავარაუდოდ თბილისის მუნიციპალური ინსპექციის შექმნას უკავშირდება. მარკების მიხედვით კი ფასები ასე გადანაწილდა:

მერიის მიერ შეძენილი 2018 წელს გამოშვებული ავტომობილები					
მარკა	**მოდელი**	**გამოშვების წელი**	**ერთეული**	**ერთეულის ფასი**	**ჯამური ფასი**
ფორდ	რეინჯერი	2018	3	86,446.91	259,340.74
ჰიუნდაი	იონიკი	2018	30	45,769.83	1,373,094.90
შკოდა	სკაუტი	2018	1	60,367.56	60,367.56
ჰიუნდაი	იონიკი	2018	53	55,047.00	2,917,491.00
სუზუკი	ვიტარა	2018	13	48,000.00	624,000.00
შკოდა	სუპერ ბ	2018	5	77,000.00	385,000.00
ჯამი:					**5,619,294.20**

თბილისის საკრებულოს მიერ საწვავის ხარჯები 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 38 ათასი ლარით გაიზარდა.



2018 წელს ქალაქ თბილისის საკრებულოს ჯამში 40 ავტომობილი ემსახურებოდა. აქედან 28 ავტომობილი საკრებულოს წევრებზე იყო განპიროვნებული, მათი თანამდებობის შესაბამისად

(საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეები), ხოლო 12 - საერთო სარგებლობის. აღსანიშნავია, რომ 40 ავტომობილის პირობებში საკრებულოს 43 მძღოლი ემსახურებოდა. 2017 წლის ივნისის მდგომარეობით კი თბილისის საკრებულოს ბალანსზე 35 ავტომობილი ირიცხებოდა და შრომითი ხელშეკრულება 39 მძღოლთან იყო გაფორმებული.

წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მიღებებსა და ოფიციალურ სადილებზე, წვეულებებსა და ღონისძიებებზე, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებზე დახარჯულ თანხებს.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ აღნიშნული ხარჯების ზრდამ 2018 წელს 32% შეადგინა.



2017 წელს ყველაზე დიდი წარმომადგენლობითი ხარჯი თბილისის მერიამ წვეულებისა და ღონისძიების გამართვისათვის გასწია და 30 ოქტომბერს შპს "ჯი-ემ-თი სასტუმროებს" 57 ათასი ლარი გადაუხადა. 2018 წელსაც ყველაზე დიდი ხარჯი წვეულების და ღონისძიების გამართვისთვის დაფიქსირდა. კერძოდ, მერიამ თბილისობის ფარგლებში 1,000 პერსონაზე გამართულ ფურშეტში შპს "ვანილა ივენთს" 81 ათასი ლარი გადაუხადა.

რაც შეეხება თბილისის საკრებულოს მიერ გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017-2018 წლებში ჯამურად ასეთმა ხარჯმა 77,507 ლარი შეადგინა, თუმცა გაურკვეველია ამ თანხის გადანაწილება შესაბამის წლებზე, ასევე არ არის მითითებული ხარჯების კონკრეტული მიზნობრიობა. მათივე წერილში მითითებულია, რომ 2017 წელს საკრებულოს აპარატს სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურებაზე წარმომადგენლობითი ხარჯი არ გაუწევია, ხოლო ასეთმა ხარჯმა 2018 წელს 3495 ლარი შეადგინა.

დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს ხარჯები 2017 წელთან შედარებით 2018 წელს ყველა შესწავლილ მიმართულებაში გაზრდილია. მნიშვნელოვანია, რომ სატელევიზიო რეკლამაში გადახდილი თანხის 69% ტელეიმედზე მოდის.

32%-იანი ზრდა დაფიქსირდა მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების კუთხითაც, რაც ძირითადად წვეულებებისა და ღონისძიებების ორგანიზებაზე გაიხარჯა. სამწუხაროდ, საკრებულოს შემთხვევაში მსგავსი ანალიზის საშუალება არ მოგვეცა, მათი მხრიდან ზოგადი ინფორმაციის მოწოდების გამო.

მერიისა და საკრებულოს როგორც ავტომობილების, ასევე მოხმარებული საწვავის ოდენობა გაზრდილია. მერიის შემთხვევაში ეს ზრდა შესაძლოა უკავშირდებოდეს მუნიციპალური ინსპექციის დანერგვასა და ამუშავებას, ხოლო საკრებულოს შემთხვევაში დაუდგენელია ავტოპარკის 5 ერთეულით ზრდის მიზეზი. თბილისის საკრებულოსათვის 43 მძღოლის მომსახურების საჭიროებაც გაურკვეველია, მაშინ როცა 28 ავტომობილი ემსახურება უშუალოდ თანამდებობის პირებს.

საერთო ჯამში, 2017-2018 წლების ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ თბილისის მერიისა და საკრებულოს ბიუროკრატიული ხარჯები საგრძნობლად გაზრდილია. IDFI-ის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ მსგავს კვლევაში შეიმჩნეოდა გარკვეული მიმართულებებით ხარჯების ოპტიმიზაცია, შემცირებული იყო საწვავისა და ავტოპარკის განახლების ხარჯები, ახლანდელი სურათით კი ამ მიმართულებითაც ზრდა ფიქსირება. IDFI მიიჩნევს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მოქნილი და ეფექტიანი ბიუროკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მისი ოპტიმიზაცია როგორც ხარჯების, ასევე ადამიანური რესურსის კუთხით.